საქართველოს მთავრობის

განკარგულება №796

2017 წლის 25 აპრილი

ქ. თბილისი

თერჯოლის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლების თაობაზე

1. „სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს №136 დადგენილებით დამტკიცებული დებულების 7^4 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 1^1 პუნქტის საფუძველზე, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების მიზნით, თერჯოლის მუნიციპალიტეტი გათავისუფლდეს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან და მიეცეს უფლება, მოიპოვოს 16 500 (თექვსმეტი ათას ხუთასი) $მ^3$ ინერტული მასალა (კირქვის ღორღი) შემდეგ X და Y კოორდინატების საზღვრებში:

ა) თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზედა ალისუბნის მიმდებარე ტერიტორია 7500 $მ^3$:

№	X	Y
1	337896	4680840
2	337928	4680858
3	337951	4680803
4	337938	4680776
5	337904	4680782
S = 0.30 ჰა		
WGS 1984;		

ბ) თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. თუზის მიმდებარე ტერიტორია, 9000 $მ^3$:

№	X	Y
1	342520	4682856
2	342596	4682798
3	342558	4682780
4	342532	4682790
5	342497	4682814
S = 0.36 ჰა		
WGS 1984.		

2. თერჯოლის მუნიციპალიტეტი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს შესაბამისი დასკვნებით (გეოსაინფორმაციო პაკეტები) განსაზღვრული პირობების შესრულება;

ბ) მოპოვებული სასარგებლო წიაღისეული გამოიყენოს მხოლოდ ამ განკარგულების პირველი პუნქტით განსაზღვრული მიზნისათვის;

გ) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიისაგან გათავისუფლებისათვის უზრუნველყოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში 2 295 (ორი ათას ორას ოთხმოცდათხუთმეტი) ლარის გადახდა ამ განკარგულების ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში.

3. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მიერ ლიცენზიისაგან გათავისუფლების საფუძველზე მოპოვებული სასარგებლო წიაღისეულის მიზნობრივად გამოყენების ზედამხედველობა განახორციელოს საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტმა (შემდგომში – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი).

4. თერჯოლის მუნიციპალიტეტმა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ვადის გასვლიდან ორი კვირის ვადაში გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტში წარადგინოს ინფორმაცია მოპოვებული ბუნებრივი რესურსის ოდენობის შესახებ.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**